

ლიტერატურული ხელშეკრუნვი



ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბის“ დამატება
№10, 30 ოქტომბერი, ორშაბათი, 2023 წელი

კრისტოფერი

ტრი

რა არის შემოდგომა

მაინც რა არის შემოდგომა?
მზე რომ გვიან-გვიან შემოდგება,
იქნებ ეს არის შემოდგომა?
ტყე რომ იჩონჩხება შენობებად,
მთლად წითელ-ყვითელ შენობებად,
იქნებ ესეც არის შემოდგომა?
შემოდგომა – ეს არის სინაზე:
ქარის ნაკვალევი სილაზე,
წვიმა საყვარელი მინაზე,
აი, ესეც არის შემოდგომა!
შემოდგომა ფრინველთა ფრთებია, –
შორეულ მანძილს რომ შებმიან,
პაპები მზვარესთან თბებიან,
შუბლზე ხელს იჩრდილებს ბებია:
„ჰაუ, ჰაუ, ყვავო და ყვანჩალა,
ორივე ჭირმა გაგცალა!“
აი, ასეთია შემოდგომა...
დაბლა ეშვებიან ღრუბლები,
შორს ქედებს უელავთ შუბლები,
ბინდში ყუჩდებიან უბნები,
ნელა ეშვებიან ღრუბლები.
კიდევ რა არის შემოდგომა? –
გათოშილ მინდვრების წამოდგომა,
ალვების მდურვა და შარიშური,
წიგნი ნეკერჩხალით ჩანიშნული,
აი, როგორია შემოდგომა!
შემოდგომა კიდევ ძახილია,
გზაზე გაპანრული ნახირია,
ბორილას ეუვანის წკარუნია,
მინაში გამთბარი წყარონია.
შემოდგომა კიდევ ზღაპარია,
შენი კერია რომ აბარია,
თუ ჭრელი საბანი გაფარია –
წიქარაც, კონკიაც აქ არიან.
შემოდგომა ტკბილი ზღაპარია!
შემოდგომა დარჩენილი მერცხალია,
სიმინდის ბრიალა მარცვალია,
თავზე ვაზის ქუდი ახურია,
მე მგონი, ის ქუდი კახურია –
სულ თავალებული დააბიჯებს,
ბიჭებს მოზვრებივით დააჭიდებს,
ზღვაში რომ მთვრალი მტევნებია –
მისი ქეშაკი მდევრებია.
ქვევრში რომ მაჭრის დუღილია,
ესეც შემოდგომის ქუხილია.
აი, როგორია შემოდგომა!
გათოშილ მინდვრების წამოდგომა,
ალვების ჩურჩულით შარიშური,
წიგნი ნეკერჩხალით ჩანიშნული.
... რა მშვენიერია შემოდგომა!

ჭირულები



ლიტერატურის ხისტორია



გიორგი ბაქრაძე საბავშვო თეატრალური წრის „აკვარიუმი“ წამყვანი მსახიობი და არაერთი ფესტივალის საუკეთესო ნომინაციის მფლობელია, ცეკვას, მღერის და, რაც ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა, მოზარდისათვის ბევრად მაღალი აზროვნებით წერს და აზროვნებს.

ჩემი დაუწინებული მოთხოვნა იყო, რომ გიორგის დედას, ბავშვობიდან აღიარებულ პოეტსა და გაზეთ „ლიტერატურული ხაშურის“ რედაქტორს, ეკა ბაქრაძეს შვილის ლექსები გამოქვეყნებინა. ამის საფუძველი კი გიორგი ბაქრაძის სათქმელის გულწრფელობამ და სილრმისეულად გადმოცემამ მომცა. ფეხბედნერი ყოფილიყოს გიორგის პოეტური დებიუტი.

ის ჯერ მხოლოდ 17 წლის არის.

მზია ხეთაგური, მწერალი, საზოგადო მოღვაწე,
ნმ. გიორგის ოქროს ორდენის მფლობელი.

დავხუჭავ თვალებს, ავფრინდები ჩემს სასახლეში,

გავყვები ქარებს, ჯადოსნური ყვავილით ხელში.

ნუ გაიოცებთ, დიახ! მქაია მე მეოცნებე,

ნუ გეშინიათ, ოცნებებში არ ვიკარგები.

იცით? სასახლე იისფერად მე გადავდები

და მის კედლებში მე ოდესლაც დავბინავდები...

ღრუბლებშიც ავალ, მე ვიქნები ღურჯი ფრთოსანი,

დავაკვირდები დედამინას და დაჩაგრულებს,

გამახსენდება მოიმედე, როგორც მგოსანი,

ღურჯი ფრინველი, ყველა დარდს რომ უკან აბრუნებს.

ღრუბლებს ვაძინებ, თვალს დავხუჭავ, გამელიმება,

დილით კი, ისევ ამაქვეყნად გამელვიძება.

აყვირდა ლამის ორი საათი,

სილუეტებმა დაინყეს ცეკვა,

ცრემლით აიგოს გულის კალათი,

მე ქვეცნობიერს დავუწყე ქექვა.

მთრთოლვარე ჭერი დამყურებს თავზე,

მის მოშორებას ელდისაგან ვბედავ,

მორიელის გესლს შევიგრძნობ ტანზე,

გამოსავალი არ არის ელდა...

იატაკის ქვეშ ლამის ალქაჯი,

ვითომ ქალწული, მტეხავს მტეხი ქვით,

ტირანი გახდა ჩემი დარაჯი,

მიყურებს, მიღრენს ცოფიანივით.

მდარაჯობს, რათა არსად გავიქცე,

რომ არ დავტოვო ჩემი ოთახი,

სიჩუმე უკრავს ფუგას საყვირზე,

კუშტად თითს მიქნევს აჩრდილი ბახის...

გარედან ისმის ნიავის გლოვა,

შენ რაღას ტირი, თავისუფალო?

შენმა სულმა ხომ სილალე ჰპოვა

და გახდა ცელქი, უკიდეგანო?

ჩემი სარკმელიც გადამავიწყდა,

ჩემს ბოდვას მთელი ღამე რომ უსმენს,

გონება ქვესკნელს შიგნით დამინდა

და მორიელი მიმატებს ნაკბენს.

ძალას მოვიკრებ, გავასწრებ ტირანს,

უცნობი ხილვით გზააბურდული,

ოთახის კართან მიღყვები მიზანს

და გავფრინდები, როგორც შურდული...

გავშორდი თოახს, ვარ აივაზზე,

ოდნავ დავმშვიდიდი, ალარავინ მელავს,

ფლეიტის სიო ხმას გაინაზებს,

ჩემი ნაღველიც გავატანე კვამლს.

ორიც შესრულდა, სამი დაინყო,

ფიქრი დავუშვი – ხმალი და ფარი,

გაბრუებული, თოახს შევედი,

დავწექი, შვებით ძილს მივეც თავი.

იჯდა ქუჩაში ემპათი სული,

თვალს ადევნებდა შავბნელ სხეულებს,

ქალაქი თვლემდა, ბინდგადაკრული,

ქალაქი ანმყოს უფრო ართულებს...

ნეტავ, არსებობს ისეთი დანა? –

ემპათებმა რომ ჯიბით ატარონ

და სადაც წავლენ, შავბნელ სხეულებს

სულია და გულზე გადაატარონ!..

ყვირილის ხმაში, ცრემლის ქალაქში

რეგვენს უპყრია სკაპტრა ოქროსი,

ნათელს ვერ ვხედავ ვერცერთ მათგანში,

მხოლოდ და მხოლოდ მოჩანს ქაოსი!..

ჩაგრული ხალხი ცხოვრობს ამქვეყნად,

მათი სხეული ეულად დრტვინავს,

ზოგიც ვერ უძლებს ამ წუთისოფელს

და ზემოთ, ცაში დაეძებს ბინას...

და... განაგრძობდა ქალაქი ქვითინს,

მასზე დარდების ქარები ქროდა,

იქ კი, ქუჩაში, ემპათი სული

ქალაქს ტკივილებს თანაუგრძნობდა.

წახდა სამყარო, ფერთა გამა უფერულდება,

ცის თაღზე ტირის დალვრემილი ნამგალა მთვარე,

ტრადიციულად, უიმედო დილა თენდება,

ტრადიციულად, უიმედომ, ცრემლები ვლვარე.

ძალზედ აცივდა, – სეზონისთვის შეუფერებლად,

სიო უხვად ქრის, ჰაერი კი მთლად დახშულია,

როგორ მოვიქცე ამ სიცივის ასარიდებლად?

როგორ ავესანა სხეულს ჩემსას, რომ ზაფხულია?

ძილს როგორ მივცე ჩემი თავი, როცა ვიცი, რომ

ნორჩი ბიჭები საცხოვრებლად ცაში მიდიან,

როცა ვიაზრებ, რომ სიკვდილი დაძრნის ამქვეყნად

და ამ სიკვდილთან გამალებით, ვიცი, იბრძვიან.

რადგანაც ბორგავს ჩემი სული, ზემგრძნობიარე,

ქარის ფრთას ვუსმენ, იქნებ დარდი გაანიავოს,

ეგებ სევდის ხმა გადაფაროს, ხმა მგლოვიარე,

სულთმობრძავივით აღმოხდება ბედურულ სამყაროს...

ქარმაც დაბერა, ჩაუქროლა ჩემს ეზოს კედლებს,

(სულ სადღაც როგორ გეჩქარება, თავქარიანო?)

და, როცა გაცდა ეულად მდგარ სევდიან ვერხვებს,

დაიგრიალა „რამდენს უძლებ, ადამიანო?!”

თოვლის ფანტელებს დაჰყოლია ნატიფი ცრემლი

და ნება-ნება თავს მახვევნე უცხო კაეშანს...

და, რახანია, თოვლო, მე შენს მოსვლას მოველი,

რადგან ვიცი, რომ შენ მაჩქებ ლექსის წერის შანსს.

დედამიწაზე შენი თეთრი სული დასახლდა,

ყოველ შენს ფანტელს მე მიგზავნი ფაფუკ ფიქრებად

და ხეებს შენი სანუკვარი რისხვა დაატყდა,

მთებსაც კი მისწვდი, დაეფინე მარგალიტებად.

ამ სილამაზეს როცა ვუმზერ, შენსავით ვდნები,

შენი კაშკაში ემუქრება ჩემი თვალის ჭრილს,

ასე მგონია, ჩე

დღე იწურება და არემარეს
ეწვევა ღამის მსუბუქი ლანდები
და თან მოჰყვება ცეცხლივით მწველი
და ყიულივით ცივი დარდები.
შემოაბიჯეს, სტუმრად არიან,
დაუპატიუებელ სტუმრად,
ურჩი ბაგშვივით ჯიუტად ბლავიან,
დაილებიან და სდუმან.
შეხედე, თითქოს აქ გადმოსახლდნენ,
იქნებ არც ცხოვრობდნენ არსად,
ჩემში შემოსახლდნენ,
გრიგალს თავს მავლებენ,
ერთ ფიქრს მიჩვენებენ ასად...
არ იღლებიან, არც პეზრდებათ,
არიან ენერგიით სავსე,
ვცდილობ, დავემალო, მაგრამ ვხედავ,
რომ ისევ მადგანან თავზე. —
— თქვენ საიდან ხართ? საიდან მოხვედით?
ანდა საით მიდის თქვენი გზები?
ალკოჰოლს ჰგავხართ, თრობის ეფექტი გაქვთ,
სულსა და სხეულში სწრაფად იუღინთებით.
მერე ზღაპრებს ამსხვრევთ, ტკივილების ხეს რთავთ
და მეც, უკვე, ვხედავ, ძალზედ მაღლე ვთვრები.
დაგიმსხვრევიათ ეს ჩემი ზღაპარიც,
მინასთან გაასწორეთ არემარე!..
ჩემი დანგრეული სიყვარულის კორპუსა
ჭრილობებს ნაზად უხვევს თეთრი მთვარე.
სახურავზე არ ხტიან სიზმრის კატები,
ქუჩის მუსიკოსიც აღარ უკრავს მაურის,
იმედგაცრუებულნი დადიან მხატვრები
— ფერებში ნახატს ვერ ვხატავთო...
ნახატს ფერებში როგორ დახატავ,
როცა ამისთვის გჭირდება ფერი...
გარშემო რა არის? — მხოლოდ მტვერი!
ზღაპარს უსათუოდ სჭირდება შველა,
— მიშველე, ანგელოზო, ბნელაა!
დროც გადის ნელა...
ანგელოზმა ყველა გაჭირვებულს თბილი
სიყვარულის საბანი დააფარა
და, მაშინ როცა თვითონ გაუჭირდა,
შეკითხვა გამიჩნდა: ვინმე დაეხმარა?
იგი, დაცემული, ტერფებით მიეჯაჭვა ნაპრალებს,
მისი გული როგორ, როგორ კანკალებს...
შეხედე, ჩიტებს სტკივათ, შეხედე, გადაყარეს
სიხარულის ლურჯი ბარათები,
უკვე დავიღალე, გაუსაძლისა,
ჩემო ანგელოზო, აღარ წამოდგები?
ცოტაც დამაცადეო — მითხრა ანგელოზმა,
ძალას მოვიკრებ და ისევ წამოვდგები...
დღეები მიდიან... მე კი ყოველ დილით
დაცემულ ანგელოზს ველოდები...

შეუჩერებელ დროის კანონებს
გვერდით მივყვები კვლავინდებურად,
სამყაროს ბედი მუდამ მაღონებს
და თვალს ვადევნებ გარინდებულად.
ისევ ვიხსენებ მილეულ ზამთარს,
წარსულში ფუჭად გავლილ ნაბიჯებს,
ფიქრს შევამატებ ფიქრების დავთარს
და სინანულის ვაღებ კარიბჭეს.
ჩემი ოთახის კედლებიც გრძნობენ,
ფიქრს რა ქაოსი შემოხვევია,
რად ვიმსახურებ, არ ვიცი, მაგრამ
ჩანს, ეს ქაოსი განაჩენია!..

ალბათ, ვგიუდები, ალბათ, ცხოვრების
სასტიკი წყობა მარქმევს ამ სახელს
და ჩემს გულისთქმას, ყველგან რომ თან მდევს,
ღამით ვუყვები სიზმრების სარკმელს...
და მისმენს ისიც, ჩემსავით დარდობს,
ღამის სინათლით ანათებს ფარდას
და სიფაქიზით საამოდ მარდობს,
როცა პოეტურ ძაფებით მქარგავს.
მერე, მეც, ისევ, თითქოსდა მშვიდად,
მოქარგულ სამოსს მჭიდროდ მოვირგებ,
გამოვიყენებ სარკმელს მოტივად
და ფიქრთა კრებულს ბრძოლას მოვუგებ.
მე ჩემთვის ვფიქრობ, გულში ვინატრებ
ლალ ბედისწერას, ცელქ თეთრ თოლიას
და ვერ ვეშვები ძილის წინ ფიქრებს,
ვერც სიგარეტის მელანქოლიას.

უდილი ხილები

ექიმი გმირია

2023 წლის 12 ოქტომბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ინიციატივით, ამავე რაიონის ღვაწლმოსილ ექიმებთან: ლალი მარუაშვილი; ჯულიეტა ლომსაძე; ელზა მენაბდე; ნათელა სვანიძე; ზეინაბ ხმადაშვილი; მადონა ცირეკიძე; ნუნუ ალბრეხტი; ნაზიბროლა ლაბაძე; — შეხედრა მოენყო, რომელსაც საბიბლიოთეკო გაერთიანების მმართველი კლარა გელაშვილი უძღვებოდა.

ბიბლიოთეკის ნორჩმა მკითხველებმა სტუმრად მოწვეული ექიმი ქალბატონების ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის შესახებ პრეზენტაცია წარმოადგინეს.

დამსწრე საზოგადოებამ სითბო და სიყვარული არ დაიშურა ამაგდარი ადამიანებისთვის, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ჩვენი რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე იღწვოდნენ.

უფროსი თაობისადმი პატივისცემის გამოხატვის დიდი სურვილით, შეხედრას ესწრებოდნენ და მათი მოღვაწეობის შესახებ გულთბილად ისაუბრეს მომდევნო თაობის ქალბატონმა ექიმებმაც.

საინტერესო და მნიშვნელოვანი ისტორიები გაიხსენა ხაშურის კულტურის ისტორიის ფოტო-მემატიანებმ, ბატონმა მევლუდ სალალაიმ.

საბიბლიოთეკო გაერთიანების სახელით, თავისი ხალხისა და ქვეყნის სამსახურში ერთგული და ხანგრძლივი მოღვაწეობისთვის, ყველა ღვაწლმოსილ ექიმს მადლობის სიგელი გადაეცა.

ექიმებთან შეხედრა დროული მოფიქრება და მიგნება იყო, იქნებ, საჩქაროც, რადგან მისი უდიდებულესობა დრო სისწრაფით მიჰქირის...

სალამოს ფონად ლეგენდარული გია ყანჩელის მელოდია „ის აქ არის“ გასდევდა...

ისინი აქ არიან, ჩვენ გვერდით — ჩვენი ღვაწლმოსილი ექიმები, მრავალი სულისა და სხეულის მკურნალინი...


დაე, აქ იყვნენ, დიდხანს!





መመሪያ ንግድ

საშუალის ლიტერატურული ცხდილობები



საშურის ლიტერატურული ენციკლოპედია

დღევანდელ ეპოქაში, როცა
ინტერნეტსივრცეში ყველა საჭირო თუ
არასაჭირო ინფორმაცია მარტივად
ხელმისაწვდომია, როცა ბეჭდური
გამოცემები ელექტრონულმა წიგნმა
ჩაანაცვლა და, თითქოს ამით ის
მნიშვნელობაც დაიკარგა, უძველესი
დროიდან მოყოლებული, სხვადასხვა
ფორმითა თუ პოლიგრაფიული წესით
გამოკუმულ წიგნს რომ ახლდა თან.

ამ ყველაფრის ფონზე, ხაშურის სინამდვილეში იპადება ისეთი საინტერესო, მნიშვნელოვანი გამოკვეთი, რომელიც ყველა ოჯახისთვის სამაგიდო წიგნად იქნია.

„ხაშურის ლიტერატურულ ენციკლოპედიაში თავი მოიყარა ხაშურში მცხოვრებმა და აქაური ფესვების ქონე ორასამდე ცნობილმა, ნაკლებად ცნობილმა თუ უცნობმა მწერალმა, მე-19 საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული, დღევანდელობამდე.

ენციკლოპედიაზე მუშაობის დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ხაშურს განსაკუთრებულ მადლი დააყოლა განგებამ, რადგან დიდ ქართული ოსტერიატურას ჩვენმა მუნიციპალიტეტმა მისცა სიტყვის რამდენიმე პირველხარისხოვანი ოსტატი, რომელთა შემოქმედებას იცნობს არამარტო ქართველი, არამედ ევროპელი მკითხველიც, მათი ტექსტები თარგმნილია და ცალკე წიგნებად არის გამოცემული ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ან შეტანილია პოეტურ ანთოლოგიებში.

ნაშრომი შედგება რამდენიმე ნაწილისგან და მკითხველი მისი ფურცლებიდან მიიღებს ყველა იმ ინფორმაციას, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის ლიტერატურულ ცხოვრებას უკავშირდება.”
- ვკითხულობთ ხაშურის ლიტერატურული ენციკლოპედიის შემდგენელის მურად მთვარელიძის წინასიტყვაობაში.

წინამდებარე წიგნს არაერთი მადლიერი ავტორისა თუ წიგნის მოყვარული ადამიანის გამოხმაურება მოჰყვა:

„ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, განსაკუთრებული გემოვნებითა და ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებულმა მურად მთვარელიძემ ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული სამსაუკუნოვანი ლიტერატურული ქაოსი წესრიგში მოიყვანა!

ორასამდე ავტორის სუნთქვა და სული ერთ დიდ რგოლად შეიკრა, ერთ „შენობაში“ დაბინავდა...

თითო დიდი ნათურა ყველა სოფელში უნდა ენთოსო –არსებობს გამოთქმა. ვისურვებდი, ყველა ქალაქში ენთოს ასეთი ნათურა, რომელიც წიაღსაც ანათებს, აწმყოსაც ათბობს და მომავალს მაგალითს აძლევს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ლიტერატურული ენციკლოპედია დაიბადა!“ – წერს ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების მმართველი, პოეტი კლარა გელაშვილი.



„ბატონმა მურად მთვარელიძემ მოიხია და “ხაშურის ლიტერატურულ ენციკლობედიად” გამოსცა ამ ქალაქთან დაკავშირებული მწერლების ვრცელი ჩამონათვალი, თავისი მოკლე ბიოგრაფიებით, მე-19 საუკუნიდან დღემდე.

ორასამდეა!
და მათ შორის, მეც ... ჩემი მოკრძალებული ადგილი მერგო...
—

დიდი პატივია ჩემთვის.
საოცარი შრომა დევს წიგნში! მურად მთვარელიძის ცხოვრებას
ნამდვილად ჰქვია დიდი ღვაწლი”. – ეკატერინე ლაცაბიძე, ადვოკატი,
ეჭ.

28 სექტემბერს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში „ხაშურის თეატრის გერმანული ენის კუთხით“ წარიდნობის აღმართვა

„ბედთან ჭიდილი” ნუნუ სოზიაშვილი-ტაბატაძის მეშვიდე პოეტური კრებულია, რომელიც ავტორმა ერთგვარი შემოქმედებითი შეჯამებასავით წარუდგინა მყითხველს, მის მიერ განვლილი ცხოვრების 77-ე უამსაწიერზე.



„ნუნუ სოზიაშვილი-ტაბატაძე გახლავთ ავტორი წიგნისა, რომელშიც თავს იყრის ლექსები, მინიმები, მარგინალიები და აზრები. მიუხედად განცდების სხვადასხვა ფორმით გამოხატვისა, სათქმელის ძირითადი არსი მაინც ერთია – სევდის გაზიარების მცდელობა. სევდა კი სხვადასხვაგვარია: ხან დროსთან ჭიდილით გამოწვეული, ხან სამშობლოს ბედით, ხანაც ზოგადი, ადამიანური ურთიერთობებით (მეგობრული, დედაშვილური თუ ნაცნობ-უცნობური) დათრგუნვილი.

ლექსების უფრო ღრმა ანალიზისა და თთოვეული მათგანის დაწვრილებით განხილვის შემთხვევაში ავტორის პოეტურ ტექნიკასა და მხატვრულ-გამომსახველობით სახეებზე მეტის თქმა იქნება შესაძლებელი. მე კი, ამჯერად, მხოლოდ იმით შემოვიფარგლები, რომ წიგნში გამოქვეყნებულ ლექსებს „სევდის პოეზიას”, ავტორს კი „სევდის პოეტს” ვუწოდებ.” – წერს ფილოლოგი და ლიტერატურის მცოდნე ლანა გრძელიშვილი ნუნუ სოზიაშვილის ლექსების კრებულის ერთ-ერთ წინასიტყვაობაში.

ბეჭთან ჭიდილი

სულის ღადარში ნაწრთობ სტრიქონებს
ვერ შეაჩერებ, როგორც მეწყერს –
მთიდან მოწყვეტილს...
როცა გგონია, ააშენე მწვერვალზე კოშკი,
წუთისოფელი კლდეში ნაკვეთ საფეხურს გინგრევს
და თავდაყირა გიყენებს მიზნებს...
ეშვები თავქვე, ბედნიერება შენ მიღმა რჩება...
წყურვილს ვერ გიყლავს ბალლამისგან აღვსილი თასი,
ცდა ამაოა – უხილავ მტერს მოუგო ომი.
აატორტმანა დედამიწა ამდენმა ცოდვამ!..
ლხინი – ჭირიდან თავდალწევის ნათელი სახე
გადაიხვეწა, ვერ იპოვა ადგილი თვისი...
დაიხა, გაცვდა ფერადი ფარჩა,
ჩემს სამყაროში შემოჭრილმა ქარიშხალმა
ის იმედი წამგვარა მძევლად,
უკვე ტახტრევანს რომ ვუდგამდი გასამეფებლად...
ვიცი, უფალი არ შემინდობს სასოწარკვეთას...
და, ამიტომაც, კვლავ ბრძოლის უინით შეპყრობილი,
მივდევ ქარავანს... ჭირისუფალი არ გავხდები თეთრი ფიქრების!
ამასობაში, დაისის მზემ ქვიშის საათით მამცნო,
რომ ვაგლახ სულს სხეული შემოაბერდა!
შიში არა მაქვს, დასასრულით სხვა გზა იწყება...
ბედთან ჭიდილში ზამთრის სუსხით დამზრალ სხეულს
შემოახვია ფრთა ანგელოზმა და ნათლით მოსილ
საყდრის კარში გაუჩინარდა...